ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №7-4

ქ. ბათუმი, 17 აგვისტო, 2012 წ.

| | |
|---|---|
| სხდომას ესწრებოდნენ: | რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი; |
| | დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე; |
| | არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი; |
| | მამუკა თამაზაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი. |
| სხდომას არ ესწრებოდა: | ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი; |
| დღის წესრიგი: | თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 31 მაისს გამოცხადებულ N501 კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის შპს „აჭარსპეცპროექტის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვა. |
| მოისმინეს: | საკონკურსო კომისიის წევრმა მამუკა თამაზაშვილმა კომისიას მოახსენა, მოთხოვნის შესაბამისად, დასახელებულ კონკურსში გამარჯვებულმა შპს „აჭარსპეცპროექტმა“ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ. |

| | |
|---|---|
| კომისიამ დაადგინა: | 1. შპს „აჭარსპეცპროექტის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;<br><br>2. გაფორმდეს შპს „აჭარსპეცპროექტთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;<br><br>3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა შპს „აჭარსპეცპროექტისთვის“ არაუგვიანეს 17 აგვისტოსა. |

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

მამუკა თამაზაშვილი